პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-14 წელი

№ 104 (1118) | ხუთშაბათი, 29 აგვისტო, 1957 წ. | ფასი 30 კაპ.

საერთო ძალით

საბჭოთა პროფკავშირების 50 წლისთავი ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში დიდი ზეიმით აღინიშნა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურ საბჭოსადმი გაგზავნილ მისალმებაში აღნიშნავდა: „პროფკავშირული ორგანიზაციები მოწოდებული არიან მეტი იზრუნონ მშრომელების საყოფაცხოვრებო საჭიროებათა და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, დაიცვან მუშათა და მოსამსახურეთა უფლებები და ინტერესები, როდესაც მათ არღვევენ ცალკეული სამეურნეო ორგანოები... საჭიროა მეტი ზრუნვა მშრომელთა დასვენების ორგანიზაციისათვის, პროფკავშირების კულტურულ დაწესებულებათა მუშაობის შინაარსის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესება...“

მეტად დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან საბჭოთა კავშირში პროფკავშირული სპორტული საზოგადოებები. მსოფლიოს, ოლიმპიური და საბჭოთა კავშირის ბევრი ჩემპიონი და რეკორდსმენი ნებაყოფლობით ორგანიზაციებშია აღზრდილი. ჩვენი სამშობლოს ყველა ქალაქშია პროფკავშირების სახსრებით აგებული სტადიონები, კორტები, აუზები. საქართველოში ცნობილია „ბურევესტნიკის“, „ლოკომოტივის“, „პიშჩევიკის“, „კრასნოე ზნამიას“ და სხვა საზოგადოებათა საქმიანობა. რესპუბლიკის პროფკავშირულმა სპორტულმა ორგანიზაციებმა მიმდინარე წელს თავიანთი ცენტრალური საბჭოების პირველობის მრავალ გათამაშებაში მიიღეს მონაწილეობა და წარმატებებიც მოიპოვეს. სპორტსაზოგადოებებმა დიდი წვლილი შეიტანეს საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე საქართველოს სპორტული დელეგაციის საპატიო ადგილზე გამოსვლაში და საერთოდ რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვასა და მის განუხრელ აღმავლობაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის მთელი სიმძიმე წარმოება-დაწესებულებებში სპორტსაზოგადოებაზე გადადის. საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტები, ადგილკომები ეხმარებიან ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს ფინანსიურად და სხვადასხვა საინტერესო ღონისძიებათა ჩატარებაში. პროფკავშირული სპორტსაზოგადოებები მშთ ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების გეგმების მომზადების ავანგარდში არიან. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავის აღსანიშნავად ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივში გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება.

ახლა რესპუბლიკის სპორტული კოლექტივი მეტად დაძაბულ დღეებს განიცდის — გაორკეცებული ენერგიით ემზადება ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სპარტაკიადისათვის. ამ საპასუხისმგებლო ღონისძიებისაკენ არის მიმართული მთელი ჩვენი ყურადღება. ამიტომ საჭიროა უკუვაგდოთ საუწყებო ინტერესები და ყველაფერი დავუქვემდებაროთ ერთ მიზანს — როგორც ყოველთვის, ახლაც სპარტაკიადაზე დავიკავოთ პირველი ადგილი. საუწყებო ინტერესებზე იმიტომ დავიწყეთ ლაპარაკი, რომ ზოგიერთი საზოგადოების ხელმძღვანელი საკითხს ჯერ კიდევ ასე უდგება: ღონისძიებას რესპუბლიკური კომიტეტი ატარებს ჩვენი ვალია სპორტსმენები გადავცეთ ნაკრებ გუნდებს და სხვა არაფერი. მარტო ეს საქმეს არ შველის. სპორტული საზოგადოება საქმის კურსში უნდა იყოს: როგორ მეცადინეობს მისი სპორტსმენი ნაკრებ გუნდში, ტექნიკურად იზრდება თუ არა, როგორ დამოკიდებულებაშია მწვრთნელთან, ამხანაგებთან, რეგულარულად დადის თუ არა მეცადინეობაზე.

სპორტულმა საზოგადოებამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს სპარტაკიადის მზადებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხის გადაწყვეტაში, მოამზადოს ბაზები, ინვენტარი ნაკრები გუნდების ნაყოფიერი წვრთნისათვის. ერთ წუთსაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ სპარტაკიადის სახელოდ ჩატარება ჩვენი საერთო საქმეა და მისი ჩავარდნის შემთხვევაში რესპუბლიკის საზოგადოებრიობა ყველას თანაბრად მოგვთხოვს პასუხს. აქვე უნდა მოვიხსენიოთ სპორტსაზოგადოებები „დინამო“, „სპარტაკი“, და „კოლმეურნე“. მათი ამოცანები იგივეა რაც პროფკავშირული სპორტული საზოგადოებების.

საერთოდ ყველა საზოგადოების ვალია საქმის კურსში ჩააყენონ თავიანთი წევრები, აუხსნან ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სპარტაკიადის კეთილშობილური მიზნები, კარგი მომავლის მქონე სპორტსმენებით შეავსონ საქართველოს სპორტული დელეგაცია.

საბჭოთა პროფკავშირების არსებობის 50 წლის იუბილეს საზეიმო დღეები სპარტაკიადისათვის მზადებას დაემთხვა. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ პროფკავშირული სპორტული საზოგადოებები თავიანთ დიდ წვლილს შეიტანენ ამ საპასუხისმგებლო ღონისძიების სახელოდ ჩატარებაში.

საბჭოთა მძლეოსნების პატივსაცემად

ლონდონში, „უაიტ-სიტის“ სტადიონზე დამთავრდა საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის მძლეოსანთა ნაკრები გუნდების ამხანაგური სამატჩო შეხვედრა. როგორც ცნობილია, საბჭოთა სპორტსმენებმა (ვაჟებმა) მოიპოვეს ბრწყინვალე გამარჯვება ანგარიშით 119:93, ხოლო ქალებმა — 73:40. შეჯიბრების პროგრამაში იყო მძლეოსნობის 31 სახეობა, რომელთა შორის საბჭოთა მძლეოსნებმა მოიგეს 22, ხოლო ინგლისელებმა — 9. ამ ამხანაგურ შეხვედრაზე დამყარებულ იქნა რამდენიმე ეროვნული რეკორდი.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ინგლისის მოყვარულ მძლეოსანთა ასოციაციამ და გაზეთ „ნიუს ოფ უორლდის“ რედაქციამ გამართეს სადილი სსრ კავშირისა და ინგლისის მძლეოსანთა ნაკრები გუნდების სპორტსმენთა პატივსაცემად. ასოციაციის სახელით სტუმრებს მიესალმა ლორდი ეგზეკეტელი, რომელმაც კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ მატჩმა მეგობრულ და ნამდვილ სპორტულ ვითარებაში ჩაიარა.

საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა სსრ კავშირის ელჩმა დიდ ბრიტანეთში ი. ა. მალიკმა, რომელმაც საბჭოთა სპორტსმენების სახელით მადლობა გადაუხადა შეჯიბრების მომწყობთ მშვენიერი ორგანიზაციისა და სტუმართმოყვარეობისათვის. მალიკმა დალია სადღეგრძელო სსრ კავშირსა და ინგლისს შორის კულტურული, მეცნიერულ-ტექნიკური და სპორტული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის.

ინგლისის მძლეოსანთა ასოციაციის სახელით სიტყვა წარმოთქვა მდივანმა ჯ. კრამპმა. მან სსრ კავშირის ნაკრებ გუნდს მიულოცა გამარჯვება, ქებით მოიხსენია გამოჩენილი საბჭოთა სპორტსმენები კუცი, სტეპანოვი, კაშკაროვი, კუზნეცოვი, ციბულენკო, [illegible]კალენკო, ჩიჩინა, რაუნზემე. შემდეგ [illegible] საბჭოთა გუნდის ხელმძღვანელმა ლ. ხომენკოვმა მადლობა გადაუხადა ინგლისის სპორტულ საზოგადოებრიობას სტუმართმოყვარეობისათვის და ინგლისელი სპორტსმენები დაარწმუნა იმაში, რომ მოსკოვში, მომავალი წლის სექტემბერში, საპასუხო ვიზიტის დროს, მათ უაღრესად გულთბილი შეხვედრა მოელით.

საბჭოთა და ინგლისელმა სპორტსმენებმა ერთმანეთს გადასცეს სამახსოვრო საჩუქრები და სუვენირები, ხოლო ხომენკოვმა ინგლისის მძლეოსანთა ასოციაციას — მეგობრობის სამახსოვრო თასი.



◆

ამას წინათ ლენინგრადში დამთავრდა ტექნიკური სასწავლებლების სპარტაკიადა. მძლეოსანთა შეჯიბრებაში წარმატება ხვდა წილად თბილისელ ე. ლომთაძეს. მან 100 მეტრზე რბენაში შედეგით 10,8 დაიკავა პირველი ადგილი.

• • •

სურათებზე: (ზევით შუაში) ე. ლომთაძე გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე, (ქვევით) 100 მეტრზე რბენის ფინიშთან.

ფოტო ვ. სუხოტინისა.

◆

კრეისერები პარკის ტბაზე

საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის მ. ფრუნზეს სახელობის საზაფხულო პარკის ტბაზე ჩატარდა საკავშირო შეჯიბრება საზღვაო მოდელიზმში. მინიატურული სახაზო გემების, კრეისერების, ესკადრის ნაღმოსნების, წყალქვეშა ნავებისა და სხვათა 450 მოდელი წარმოადგინეს შეჯიბრებებზე მოსკოვის, მოძმე რესპუბლიკების, ოლქებისა და მხარეების „მცირე ფლოტის“ მშენებლებმა.

შეჯიბრებაზე კარგად გამოვიდა მოსკოვის ოლქის ქალაქ ჟუკოვსკის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეების ვ. ზავორაეინისა და ვ. ნაუმოვის მექანიკურძრავიანი კრეისერის მოდელი, რომელმაც 50 მ დისტანცია 25 წამში დაფარა. საერთო მოწონებას იმსახურებდნენ, აგრეთვე მოდელები რადიომართვით.

ოქროს მედლები

გერმანიის ქალაქ დუისბურგში გამართა აკადემიურ ნიჩბოსნობაში ევროპის პირველობაზე მონაწილე ქალთა ფინალური შეჯიბრება. სპორტსმენები ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ აკადემიური ნიჩბოსნობის 5 სახეობაში 1 კილომეტრიან დისტანციაზე.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა ხუთივე სახეობაში გამარჯვებას მიაღწიეს.

ამრიგად ევროპის ჩემპიონობის ოქროს მედლები აკადემიურ ნიჩბოსნობის 5 სახეობაში საბჭოთა სპორტსმენებმა დაისაკუთრეს.

უძლიერეს მოცურავეთა სტარტი

მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის საცურაო აუზში დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური პირველობის გათამაშება ცურვაში. მასში მონაწილეობდა მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის 14 ნაკრები გუნდი.

ჩემპიონის საპატიო წოდებისათვის ცნობილ სპორტსმენებთან ვ. მინაშკინთან, მ. გავრიშთან, ვ. ლავრინენკოსთან ბ. ნიკიტინთან, გ. კამაევასთან, უ. ვოოგთან და სხვებთან ერთად იბრძოდნენ ნიჭიერი ახალგაზრდა სპორტსმენები.

საინტერესო ბრძოლით ჩატარდა შეჯიბრებები 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. ვაჟთა შორის გაიმარჯვა ლენინგრადელმა ვ. სოროკინმა — 57,0, ქალთა შორის კი ესტონელმა უ. ვოოგმა — 1.06,6.

200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში ვაჟთა შორის პირველი ადგილი დაიკავა საქართველოს წარმომადგენელმა ა. ანტონიანმა — 2.40,8, ამავე დისტანციაზე ქალთა შორის უძლიერესი იყო უკრაინელი ა. კოვალენკო — 2.56,7.

400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში საბჭოთა კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა ბ. ნიკიტინმა. მისი შედეგია — 4.30,1.

სოფლის სპორტსმენები საერთაშორისო ასპარეზზე

პოლონეთში ჩატარდა სოფლის ახალგაზრდების III საერთაშორისო სპორტული თამაშები. აქ იყვნენ ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთის, უნგრეთის, სსრ კავშირისა და პოლონეთის სპორტსმენები. მაყურებლები მქუხარე ტაშით შეეგებნენ შეჯიბრების 500 მონაწილეს.

შეჯიბრება გახსნეს მძლეოსნებმა. საყოველთაო ინტერესი გამოიწვია ე. წ. „შვედურმა ესტაფეტამ“ — 800 + 400 + 200+100 მ. უკვე პირველი ეტაპიდან დაწინაურდა სსრ კავშირის გუნდი, რომელმაც ბოლომდე შეინარჩუნა ლიდერობა. კოლექტივმა ვ. ბარაბანოვის, ლ. ნაზაროვის, ბ. ნიკოლაევისა და ვ. კოლესოვის შემადგენლობით აჩვენა დრო — 3.20,2. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ პოლონეთისა და რუმინეთის მძლეოსნები. გამარჯვებულებს ყოველ სახეობაში ჯილდოებს აძლევდა პოლონეთის სეიმის მარშალი ჩ. ვიცეხი.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია საგზატკეცილო ველორბოლამ 100 კილომეტრზე. ტრასის გასწვრივ მრავლად იდგნენ მაყურებლები, რომლებიც გამამხნევებელი ყიჟინით ესალმებოდნენ ველოსიპედისტებს. მონაწილეთა შორის იყვნენ მშვიდობის ველორბოლის მონაწილენი, ძლიერი ველოსიპედისტები ბ. პრუსკი (პოლონეთი), ო. ოგნიანსკი (ბულგარეთი), საბჭოთა ველოსიპედისტები ვ. ფილიპენკო, ვ. რომანოვი, ბ. კრულისკაუსკასი და სხვები.

დაძაბული ბრძოლის შემდეგ პირველი ადგილი დაიკავეს პოლონელებმა, რომლებმაც თითქმის 2 წუთით მოუგეს საბჭოთა კავშირის გუნდს.

თამაშების დახურვის დღეს ქალაქის სტადიონზე გაიმართა დიდი სპორტული ზეიმი. წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა გუნდის წარმომადგენლები, რომლებმაც მოიპოვეს გამარჯვებები უმრავლეს სახეობებში. დასასრულ შედგა ფინალური მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირისა და რუმინეთის გუნდებს შორის. პირველ ტაიმს შედეგი არ მოუცია — 0:0. შესვენების შემდეგ საბჭოთა ფეხბურთელებმა შეძლეს ორი ბურთის გატანა და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1.

საღამოს მდინარე ვისლაზე მოეწყო თამაშებისადმი მიძღვნილი სადღესასწაულო კარნავალი. მეგობრული ქვეყნების სპორტსმენები ზეიმობდნენ გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში. ისინი ასპარეზობდნენ როგორც მეგობრები და ერთმანეთს დაცილდნენ როგორც მეგობრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანვარჯიში წარმოებაში

ადამიანის მოღვაწეობის რა დარგიც არ უნდა ავიღოთ, შრომისა და დასვენების რაციონალურ რეჟიმს დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს კი თვითეული წარმოების ხელმძღვანელობისა და თვით მომუშავეთა წინაშე აყენებს ფრიად სერიოზულ ამოცანას: ყველაფერი გაკეთდეს იმისათვის, რომ მთავარი ამოცანის წარმატებით გადაწყვეტასთან ერთად, უზრუნველყოფილ იქნას შრომის პროცესის დადებითი გავლენა ორგანიზმზე. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წარმოება-დაწესებულებებში შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვა გარდა იმისა, რომ მიმართულია მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებისაკენ, დიდად უწყობს ხელს მათს ფიზიკურ და ფსიქიკურ განვითარებას. მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცებისა და შრომისუნარიანობის ამაღლების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე წარმოების პირობებში ისეთ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიების გატარებას, როგორიცაა მომუშავეთა შორის ტანვარჯიშის ჩატარება.

საკითხის სპეციალურმა შესწავლამ და საწარმოებში ტანვარჯიშის მუშაობის გამოცდილების ანალიზმა ცხადყო, რომ წარმოების პირობებში ტანვარჯიშის სწორი ორგანიზაცია აჩქარებს აღდგენით პროცესებს მომუშავეთა ორგანიზმში, ხელს უწყობს მუშა-მოსამსახურეთა ჯანმრთელობის განმტკიცებას, ზრდის მათი შრომის პროდუქტიულობას, ამცირებს ტრავმულ შემთხვევებს. სწორედ ამიტომაა, რომ საწარმოო ტანვარჯიში უნდა განვიხილოთ როგორც შრომის სწორი ორგანიზაციის, მუშაობის პროცესში დროის რაციონალური განაწილების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება.

უნდა ითქვას, რომ წარმოებაში ტანვარჯიშის დანერგვის პრობლემა ჩვენში ახალი არაა. საწარმოო ტანვარჯიში სოციალისტური შრომის პირობებში, პირველ ყოვლისა, მიზნად ისახავს მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცებას და მათი შრომისუნარიანობის ამაღლებას.

წარმოებაში ტანვარჯიშის ასეთ სწორ გაგებას მივყევართ იმ დასკვნამდე, რომ ამ ფრიად მნიშვნელოვანი ღონისძიების რეალიზაცია დამოკიდებულია წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელობის გონივრულ მიდგომაზე ამ საქმისადმი.

სოციალისტური შრომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ზრუნვა მშრომელთა ჯანმრთელობაზე ხორციელდება თვით შრომის ორგანიზაციაში და მის პირობებში.

შრომისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური საწარმოო ტანვარჯიშის სისტემატური ჩატარება უნდა განხილულ იქნას, როგორც სოციალისტური შრომის ხასიათის ერთ-ერთი მაჩვენებელი ნიშანი. საჭიროდ ვთვლით გავიხსენოთ, რომ მოქმედებაშია რიგი მეტად დიდი მნიშვნელობის დადგენილებებისა (საკავშირო პროფსაბჭოს 1956 წლის 22 ივნისის დადგენილება, ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის 1956 წლის 22 ოქტომბრის ბრძანება, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის 1956 წლის 28 ნოემბრის ბრძანება — საწარმოო ტანვარჯიშის მიმართ სამედიცინო სანიტარული კონტროლის შესახებ და სხვ.), რომელთა საფუძველზე საწარმოო ტანვარჯიში დაინერგა ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ წარმოებებში. მისი დანერგვა დაიწყო თბილისის ცალკეულ მსხვილ წარმოება-დაწესებულებებშიც. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მუშაობა ამ მიმართებით სათანადოდ არაა გაშლილი. ნაცვლად იმისა, რომ ჩაეტარებინათ სათანადო საორგანიზაციო-მეთოდური ხასიათის მუშაობა წარმოების ხელმძღვანელთა შორის, უწყებათა ზოგიერთი ხელმძღვანელი დაჯერდა ბრძანებით დაევალებინა წარმოების ხელმძღვანელთათვის „მოაწყონ ტანვარჯიში წარმოებაში“. კიდევ მეტი — ზოგიერთ მათგანს არც კი შეუმოწმებია ტარდება თუ არა ეს ღონისძიება წარმოებაში, სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ ზოგიერთი წარმოების ხელმძღვანელები არ არიან სათანადოდ გაცნობილი საწარმოო ტანვარჯიშის საკითხებს და ნაცვლად იმისა, რომ სათავეში ჩაუდგნენ ამ საქმეს, მეტწილ შემთხვევებში წარმოებაში ტანვარჯიშის ორგანიზაციის კატეგორიული წინააღმდეგნიც კი არიან. მათ მიაჩნიათ, რომ თუ წარმოების პროცესში ჩატარდა ფიზკულტწუთი ან ფიზკულტპაუზა, ეს გამოიწვევს საწარმოო გეგმის შეუსრულებლობას.

ამრიგად, საწარმოო ტანვარჯიშის ფართო დანერგვას საგრძნობლად უშლის ხელს წარმოების ხელმძღვანელთა გარკვეული ნაწილის მიერ შრომის პირობების გაუმჯობესების უცოდინარობა.

წარმოებაში ტანვარჯიშის დანერგვაზე ლაპარაკისას ჩვენ მხედველობაში გვაქვს მხოლოდ ის წარმოება-დაწესებულებანი, სადაც საამისო შტატი არსებობს და დაკომპლექტებულია შესაფერი კვალიფიციური სპეციალისტებით, ინსტრუქტორ-მეთოდისტებით. ამ პირობათა არსებობის შემდეგ წარმოების ხელმძღვანელებმა სათანადო სპეციალისტების მოწვევის საშუალებით დეტალურად უნდა შეისწავლონ წარმოების სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, მუშა-მოსამსახურეთა შრომის პირობები, გაითვალისწინონ წარმოების თავისებურებანი, მოამზადონ ინსტრუქტორ-მეთოდისტები, ან თუ საწარმო მცირე მასშტაბისაა — მაშინ საზოგადოებრივი ინსტრუქტორები, უზრუნველჰყონ მეთოდისტები და ინსტრუქტორები ფიზიკური ვარჯიშების კომპლექსებით, რომელიც აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს საწარმოოს სპეციფიკას, მომუშავეთა შრომის პირობებსა და ჯანმრთელობას. უნდა გამოყოფილ იქნას ადგილი საწარმოო ტანვარჯიშის ჩასატარებლად.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ შრომა ადამიანის ფიზიკური განვითარების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, გასაგები გახდება, რომ შრომა ისე უნდა იქნას ორგანიზებული წარმოებაში, რომ გარდა მატერიალური დოვლათის შექმნისა იგი ჯანმრთელობისათვის ხელის შემწყობი პროცესიც უნდა იყოს. იმის გამო, რომ ზოგიერთ საწარმოში ჯერჯერობით კიდევ არაა სათანადო საშუალებანი, იქ ტანვარჯიშის დანერგვას აუცილებლად წინ უნდა უძღოდეს სანიტარულ-ჰიგიენური პირობების ისეთი გაუმჯობესება, რომელიც მიზანშეწონილს გახდის ტანვარჯიშის ჩატარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში საწარმოო ტანვარჯიშმა სარგებლობის ნაცვლად შეიძლება ზიანი მოუტანოს ადამიანის ჯანმრთელობას.

დასასრულ, მთელი მუშაობა იმით უნდა იქნას წარმართული, რომ შევისწავლოთ სხვადასხვა ხასიათის წარმოებაში მუშა-მოსამსახურეთა შრომის პირობები, როგორც სანიტარულ-ჰიგიენური და ფიზიოლოგიური, ისე ტექნიკური თვალსაზრისით და ამის საფუძველზე ცალკეულ წარმოებათათვის შემუშავებულ იქნას საწარმოო ტანვარჯიშის ჩატარების წინასწარი ვარჯიშები და მეთოდები, რაც ჩვენს ძირითად მიზანს წარმოადგენს.

ცნობილია, რომ საწარმოო ტანვარჯიშის ფორმებს წარმოადგენს: ტანვარჯიში მუშაობის დაწყებამდე, ფიზკულტწუთები სპეციალური რეგლამენტირებული შესვენების დროს და აგრეთვე ტანვარჯიში მუშაობის შემდეგ. ტანვარჯიშის პროცესში, შრომის ნაყოფიერების გაზრდის მიზნით, სპეციალურ ღონისძიებებს დიდი ხნის ისტორია აქვს. მაგალითად, უძველესი დროიდან მოყოლებული მძიმე და მომქანცველი ფიზიკური შრომის პროცესში სხვა ხასიათის ღონისძიებებთან ერთად (მაგალითად, სიმღერა და მრავალი სხვა) განმარიდებელი ხასიათის თუნდაც ერთი ან ორი მოძრაობის შესრულების აუცილებლობას იწვევდა და ადამიანები გრძნობდნენ, რომ დასვენებისათვის ყოველთვის როდია სასიამოვნო სრული უმოქმედობა. თითქმის ყველას, ვისაც კი გამოუცდია ხანგრძლივი მუშაობა უცვლელ, მაგალითად, ჯდომით ან მოხრილ მდგომარეობაში, იცის თუ რა სიამოვნებას გრძნობს ასეთი მუშაობის პროცესში მდგომარეობის შეცვლისაგან, ე. ი. თუ ჯდომით მდგომარეობაში მუშაობდა — ადგომა, რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა, გაზმორებითი ხასიათის მოძრაობის რამდენიმეჯერ შესრულება და სხვ. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ მუშაობის პროცესში ადამიანის ასეთი განმარიდებელი ანუ შრომისათვის საწინააღმდეგო ხასიათის სხვადასხვა მოძრაობათა მოთხოვნილება იბადება ისევე, როგორც ეს ხდება მაგალითად კიდურების დაბუჟების დროს.

გამოჩენილმა ფიზიოლოგმა ე. სეჩენოვმა დაადგინა, რომ დაღლილი კუნთების შრომისუნარიანობის აღდგენის პერიოდი დამოკიდებულია დასვენების ხასიათზე. მან ჩაატარა ცდები და აღმოაჩინა, რომ ერთი კიდურის კუნთების დაღლის შემდეგ სხვა დაუღლელ კიდურზე გადართვისა და შემდეგ კვლავ პირველი კიდურით მუშაობის გაგრძელების შემდეგ ეს უკანასკნელი მუშაობას დიდი ეფექტით აწარმოებდა. აქედან გამომდინარე, სწორი დასკვნა იქნა გაკეთებული იმის შესახებ, რომ ადამიანის შრომისუნარიანობის აღდგენა საგრძნობი დაღლის შემდეგ შეიძლება იქნას მიღწეული სხვა, განსხვავებული ხასიათის მუშაობით. და იმისათვის, რომ სწრაფად და მთლიანად აღდგეს შრომისუნარიანობა, მეტწილ შემთხვევაში საჭირო არაა დიდი დატვირთვის მომცემი მუშაობის შემდეგ მთლიანი ანუ პასიური დასვენება.

საბჭოთა ფიზიოლოგებმა დიდი მუშაობა გასწიეს ე. წ. „აქტიური დასვენების“ ფიზიოლოგიური ბუნების დეტალური შესწავლის მხრივ. ამ საქმეში გარკვეული წვლილი მიუძღვით საქართველოს მეცნიერებს პროფესორ ს. ნარიკაშვილის ხელმძღვანელობით (შ. ჩახნაშვილი, ი. ვარდიშვილი, შ. ბუაძე, ა. მელია, მ. აზალიანი და სხვ.). აქტიური დასვენების ფიზიოლოგიური მექანიზმისა და ფსიქოლოგიური არსის მეცნიერული შესწავლა საშუალებას გვაძლევს ვიბრძოლოთ შრომის ყოველმხრივი რაციონალური ორგანიზაციისათვის. სამამულო დიდმნიშვნელოვანი ექსპერიმენტები ჩატარებული არა მარტო წარმოების პირობებში, არამედ სპორტშიც.

ზემოთქმულის შედეგად ცხადია, რომ დაღლილობის დონის დაქვეითება შეიძლება თუ გამოვიყენებთ სხვა ხასიათის მუშაობაზე გადასვლის პრინციპს. აქ მხედველობაში გვაქვს როგორც ერთი სახის ფიზიკური მუშაობიდან მეორე სახის მუშაობაზე გადასვლა, ისე ფიზიკური მუშაობიდან გონებრივზე გადასვლა და პირიქით.

აღსანიშნავია, რომ ტანვარჯიშის ჩატარებას მუშაობის დამთავრების შემდეგ დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის მომდევნო საქმიანობისათვის (სულ ერთია, ეს პასიური დასვენება იქნება თუ სხვა ხასიათის სამუშაო). მშრომელის ორგანიზმის გადაყვანა შედარებით მოსვენებულ მდგომარეობაში გამოწვეულია ინტენსიური დატვირთვის შემდეგ დაღლის შესაძლებელი მოხსნისა და პროცესების სწრაფი მიმდინარეობით. ამ მხრივ ყველაზე კარგ საშუალებას წარმოადგენს აქტიური დასვენება, რომელიც საუკეთესო პირობებს ქმნის ორგანიზმის შრომისუნარიანობის აღდგენისა და ახალი სახის სამუშაოს შესრულებისათვის.

აქტიური დასვენების მეცნიერული ფუძემდებელი სეჩენოვი აღნიშნავდა, რომ აქტიური დასვენება იწვევს ნერვიული ცენტრების „ენერგიით დატვირთვას“. აღნიშნული საკითხის ფიზიოლოგიური მექანიზმების გულდასმით კვლევის შედეგად შ. ჩახნაშვილი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ნერვული ცენტრების შრომისუნარიანობის დაჩქარება შესაძლებელია მაშინ, როცა მასზე ვრცელდება შეკავება, რაც მეტწილად ხდება ახალი სახის მუშაობის დროს.

ცნობილია, რომ მუშაობის პროცესში დაძაბული და მნიშვნელოვანი ფიზიკური დატვირთვის შემდეგ დაუშვებელია მუშაობის ერთბაშად შეწყვეტა. ეს უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. აქ საჭიროა შერჩეულ იქნას ისეთი ვარჯიშები, რომლებიც უზრუნველყოფენ მშრომელთა აქტიურ დასვენებას. ესაა იოლი ვარჯიშები კიდურებისათვის, სხეულის მოძრაობა, სიარული და რბენა, რამდენიმე მოძრავი თამაში და ბოლოს, ვარჯიშები მოდუნებაზე. პატარა საამქროებში, პატარა ოთახებში ასეთი ვარჯიშები შეიძლება ჩატარდეს თვით მუშების მიერ, ინსტრუქტორის გარეშე.

ამისათვის, როგორც ზევით აღვნიშნეთ, საჭიროა წარმოების თავისებურებათა, მისი პირობების გულმოდგინე შესწავლა და სათანადო სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა.

საწარმოო ტანვარჯიშის ძირითად საშუალებას წარმოადგენს ფიზიკურ ვარჯიშთა სპეციალური კომპლექსები, რომლებიც განსაზღვრული პრინციპის მიხედვითაა შედგენილი.

საწარმოო ტანვარჯიშის მნიშვნელობა მეტად დიდია. მას დიდი სარგებლობა მოაქვს როგორც უშუალოდ მუშის ჯანმრთელობის, მისი საერთო გუნება-განწყობის, ისე საერთო საქმისათვის, შრომის პროდუქტიულობის გაზრდისათვის. ამდენად ყოველი საწარმოს ხელმძღვანელობამ გულდასმით უნდა შეისწავლოს იგი და დანერგოს თავისთან.

ვ. ელაშვილი

მღვიმეში

ამოდის ქარი ნაპრალებიდან,
ჩქროალებს ჩქარი ჩანჩქერის ჩქერი...
ავედით ტინზე ჯაზრალებითა,
დავლაშქრეთ კლდეთა ხევები და ჭერი.
გავწიეთ განზე ლოდები მძიმე.
შევაღეთ ფრთხილად პატარა კარი,
ვიხილეთ კლდეში შეთხრილი მღვიმე
და მოხატული ქართული ფარი.
კარებთან გდია ვეება მშვილდი
და წრიაპები დევკაცი ხვანის.
ბაგეშეკრული, დინჯი და მშვიდი
დაგვყურებს ფრესკა უძველეს ხანის.
ფრთამოგლეჯილი, წვერგაბურძგნილი
გდია კუთხეში ბოძალი მდგარი...
...აქ შემოსული ალბათ ბეიქალეც
და უძღვნია ხვავნე დალის...
ამხანაგებო, მომყევით, ჩქარა
დავძახოთ „ლილე“ და „მაიდილი“,
ისევ დავლაშქროთ შხელდა და შხარა,
ისევ გავმართოთ მთებთან ჭიდილი.
დავლაშქროთ ყველა მღვიმე და ხვრელი, —
ჩვენს შეჩერებას ვერავინ შეძლებს;
გამოვამზეოთ, შევახოთ ხელი
მდუმარე ლოდებს და მტვრიან კედლებს.
იქნებ მივაგნოთ შოთას სამარეს,
წავაწყდეთ ხმლებით დაჩეხილ ბექსინს...
იქნება მართლა მთებში დამალეს
ჩახრუხაძის და შავთელის ლექსი.
ახალგაზრდებო, ჩვენი ჯერია —
მოვეძიოთ შატილს, უშგულს და ლექვსირს...
იქნება სადმე ქვაზე წერია
ვეფხის და მოყმის უკვდავი ლექსი.
შევძრათ ყიფიანი ხვამლის გზები,
დავლახოთ ყველა მღვიმე ქართული;
მიწის ქვეშეთშიც შევდგათ ფეხები
და ვაგუგუნოთ ვაშა ქართული.

ვალერიან სალლიანი

მესამე ტრადიციული

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის ფიზკულტურის კომიტეტმა კომკავშირის რაიკომთან ერთად ჩაატარა რაიონის წარმოება-დაწესებულებათა მესამე ტრადიციული სპარტაკიადა.

სპარტაკიადაში მონაწილეობდა წარმოება-დაწესებულებათა ძირეული კოლექტივების 305 სპორტსმენი. შეჯიბრება ტარდებოდა მძლეოსნობაში, ცურვაში, სროლაში, მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთსა და ჭადრაკში.

მძლეოსნობაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის სპორტსმენები. ქალთა შორის 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში პირველი ადგილი დაიკავა ლ. ბაბიჩევამ, ვაჟთა შორის 100 მეტრზე ცურვაში გაიმარჯვა ა. საფრონოვმა (ორივე აბრეშუმის ფაბრიკიდან). საერთო პირველ ადგილზე სპორტის ამ სახეობაში გამოვიდნენ „თბილგიდების“ ფიზკულტურელები. მეორე ადგილზეა აბრეშუმ-საქსოვი ფაბრიკის გუნდი.

სროლაში გამარჯვება წილად ხვდა „თბილგიდების“ წარმომადგენლებს. მათვე დაისაკუთრეს პირველი ადგილი ჩოგბურთსა და ჭადრაკში და ამის მეოხებით სპარტაკიადის ჩემპიონის საპატიო წოდებაც მოიპოვეს. მეორე ადგილზეა აბრეშუმ-საქსოვი ფაბრიკის, ხოლო მესამეზე — სამგზავრო ავტობუსების კანტორის კოლექტივები.

აღსანიშნავია, რომ ამ ასპარეზობათა მსვლელობაში 16 სპორტსმენმა შეასრულა სათანრიგო ნორმა, ხოლო 45-მა ჩააბარა მშთ I და II საფეხურის ნორმები.

ი. ხაბეიშვილი

პირველობა უკანონოდ მიენიჭა

დამთავრდა ხაშურის რაიონის პირველობა ფეხბურთში. უნდა ითქვას, რომ მატჩები მიმდინარეობდა დაბალ სპორტულ დონეზე, უინტერესოდ, ხშირად ჰქონდა ადგილი წესრიგის დარღვევას და ა. შ.

გარდა ამისა, უმართებულოდ იქნა მინიჭებული პირველი ადგილი. იგი სინამდვილეში მოიპოვა სურამის კულტურის სახლის გუნდმა, რომელსაც 5 ქულა ჰქონდა, ხოლო ხაშურის სალოკომოტივო-საორთქლმავლო დეპოს ფეხბურთელთა გუნდს კი მხოლოდ 4. ეს საკითხი გამორკვევას მოითხოვს.

ა. დავითიანი

ხვალ იწყება

კიროვის სახელობის პარკის სპორტულ ბაზაზე ხვალ დაიწყება საბჭოთა კავშირის პირველობის მეორე წრის მეორე ტურის მატჩები „ა“ კლასის ფრენბურთელ ქალთა გუნდებს შორის. ამ დღეს გაიმართება სამი შეხვედრა. 4 საათზე მოედანზე პირველად გამოვლენ მოსკოვის „სპარტაკისა“ და ტალინის „კალევის“ გუნდები. მატჩის დამთავრების შემდეგ ერთმანეთს შეხვდებიან „ბურევესტნიკი“ (ხარკოვი) - „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) და „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი)-„ბურევესტნიკი“ (თბილისი).

31 აგვისტოს ითამაშებენ: „სპარტაკი“ (მოსკოვი)-„ლოკომოტივი“ (მოსკოვი), „კალევი“ (ტალინი)-„ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) და „ბურევესტნიკი“ თბილისი)-„ბურევესტნიკი“ (ხარკოვი).

კვირას შეხვედრები დაიწყება 3 საათსა და 30 წუთზე. პირველად ითამაშებენ ხარკოვის „ბურევესტნიკი“ და „კალევი“ (ტალინი). შემდეგ მოედანზე გამოვლენ თბილისის „ბურევესტნიკისა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ ფრენბურთელთა გუნდები. თბილისის ტურნირი დამთავრდება ლენინგრადის „ბურევესტნიკისა“ და მოსკოვის „ლოკომოტივის“ გუნდების შეხვედრით.

ფეხბურთი

კვლავ ორი ქულა

ქუთაისი. (ტელეფონით). 27 აგვისტოს ქალაქის სტადიონზე შედგა მორიგი მატჩი საკავშირო პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მესამე ზონაში. თამაშობდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივი“ და კიროვის „დინამო“.

რკინიგზელები თამაშზე გამოვიდნენ ოდნავ შეცვლილი შემადგენლობით. გაიხარაშვილის ნაცვლად დაცვის ცენტრში თამაშობდა კახნიაშვილი, ხოლო ნახევარდაცვაში შეყვანილ იქნა ჯეჯელავა.

თამაში დაიწყო რკინიგზელთა შეტევით. დინამოელთა დაცვა საკმაოდ ორგანიზებულად, შეთანხმებულად იგერიებდა იერიშებს, მაგრამ მე-15 წუთზე კახიანმა კარგად შეარჩია ადგილი, მიიღო ჯაჭახაძის გადაცემა და თავით გაგზავნა ბურთი კარში — 1:0.

შესვენების შემდეგ რკინიგზელთა უპირატესობა კიდევ უფრო აშკარა გახდა და სტუმრებს სულ უფრო უჭირდათ ბრძოლა მოწინააღმდეგის სწრაფ თავდამსხმელებთან. მალე კახიანმა კვლავ გაიმეორა თავური დარტყმა და ანგარიში გახდა 2:0. ცოტა ხანში კიროველებმა მესამედ დაიწყეს თამაში ცენტრიდან — ბურთი ახლო მანძილიდან ძლიერი დარტყმით გაიტანა ცაგარეიშვილმა.

თამაშის დასასრულისათვის ქუთაისლებს ჰქონდათ ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა, მაგრამ სორდიამ 11-მეტრიანი საჯარიმოდან ბურთი ძელს მოახვედრა.

მატჩი მოიგო ქუთაისის „ლოკომოტივმა“ ანგარიშით 3:0.

• • •

სურათზე: კახიანს გააქვს მეორე ბურთი კიროველთა კარში.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 29 აგვისტოსათვის

ძირითადი შემადგენლობანი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ მ.	12	8	3	1	18:7	19
„სპარტაკი“ მ.	15	8	3	4	27:17	19
„დინამო“ კ.	12	6	5	1	17:7	17
ცსკ მო	15	8	1	6	32:21	17
„ლოკომოტივი“	13	7	3	3	21:15	17
„ტორპედო“	13	5	5	3	23:16	15
„დინამო“ თბ.	12	7	1	4	19:15	15
„ბურევესტნიკი“	15	2	8	5	14:18	12
„შახტიორი“	15	4	4	7	11:20	12
„ზენიტი“	14	3	3	8	15:29	9
„კრ. სოვეტოვი“	16	1	7	8	5:20	9
„სპარტაკი“ მნ.	16	1	5	10	8:25	7

• • •

მოსკოვი. აქ შედგა მორიგი მატჩი საკავშირო პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ მოსკოვისა და მინსკის სპარტაკელები.

ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა მოსკოვის „სპარტაკმა“.

უძლიერესი ჩოგბურთელები დიდი სტარტის წინ

★

ვ. კოლეგორსკი,
ვ. კანდელაკი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯები.

★

სულ ახლახან თბილისის ჩოგბურთელებმა მიიღეს ორი კეთილმოწყობილი სათამაშო მოედანი — ერთი ფიზკულტურის ინსტიტუტის ტერიტორიაზე, ხოლო მეორე იქვე მახლობლად, „ბურევესტნიკის“ სტადიონზე. ამასთან ერთად შეკეთდა და ახალი მოედნები მოემატა პლეხანოვის პროსპექტზე მდებარე კორტებს. ამრიგად, თბილისში დღეისათვის მზადყოფნაშია ჩოგბურთის 30 კორტი, რომლებზეც მოეწყობა საბჭოთა კავშირის 1957 წლის პირად-გუნდური პირველობის გათამაშება. სამი უძლიერესი კოლექტივი — „დინამო“, „სპარტაკი“ და „ბურევესტნიკი“ იბრძოლებს პირველ ჯგუფში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის გარდამავალი ჯილდოსათვის. ყოველი გუნდის შემადგენლობაშია 22 მოზრდილი და ნორჩი ჩოგბურთელი. გუნდები ერთმანეთს შეეჯიბრებიან წრიული სისტემით, ასე, რომ ბრძოლა იქნება მეტად დაძაბული და საინტერესო.

საკავშირო პირველობისათვის მზადების პერიოდში „დინამოს“ ჩოგბურთელებმა თბილისში ჩაატარეს თავიანთი პირველობა. ამ საზოგადოების ღირსებას დაიცავენ მისი ჩემპიონები, სპორტის ოსტატები. ე. ჩუვირინა და ა. ხოიცკოვი, აგრეთვე სხვა ცნობილი სპორტსმენები ვ. კუზმენკო, ა. დმიტრიევა, ა. კუზმინა და სხვები. „დინამოს“ თავის შემადგენლობაში ჰყავს მოზარდთა ძლიერი გუნდიც. ამ საზოგადოების ჩოგბურთელების წვრთნას ხელმძღვანელობენ სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. ტეპლიაკოვა (მოსკოვი) და სპორტის ოსტატი ე. კრეე (ესტონეთი).

ბათუმში წვრთნას გადიოდა „სპარტაკის“ კოლექტივი. ამას წინათ „სპარტაკმა“ ჩაატარა თავისი პირველობა, სადაც გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა მოსკოვმა. ამ საზოგადოების უძლიერესი ჩოგბურთელები წვრთნას გადიოდნენ საბჭოთა ჩოგბურთის ვეტერანის ნ. ჯაკსონის და ა. პრავდინის ხელმძღვანელობით. „სპარტაკის“ გუნდის შემადგენლობაში არიან საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ს. ანდრეევი, საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონი სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. ოზეროვი, სპორტის ოსტატები ნ. კორჩაგინი, კ. ბორისოვა, მ. ემელიანოვა, მ. ნოვიკი და სხვები.

„ბურევესტნიკის“ უძლიერესმა სპორტსმენებმა თავიანთი პირველობა გაითამაშეს როსტოვში. ქალთა შეჯიბრებაში აქ წარმატება ხვდა წილად თბილისელ ი. რიაზანოვას, რომელიც სათავეში ჩაუდგება საზოგადოების ნაკრებ გუნდს. მასთან ერთად „ბურევესტნიკის“ ღირსებას დაიცავენ სპორტის ოსტატები ვ. ვიქტოროვა, რ. კირსანოვა, ბ. ხაირაჩნაია, მ. მოზერი, ვ. კიზევეტერი და სხვები.

მოეწყობა აგრეთვე პირველობა მეორე ჯგუფის გუნდებს შორის, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 9 კოლექტივი — „ლოკომოტივი“, „ავანგარდი“, „ენერგია“, „შახტიორი“, „კალევი“, „ჟალგირისი“, „დაუგავა“, „კრილია სოვეტოვი“ და „ნეფტიანიკი“. ამ გუნდების შემადგენლობაშია 10 მოზრდილი ჩოგბურთელი და 5 მოზარდი.

გუნდური პირველობის შემდეგ დაიწყება პირადი პირველობის გათამაშება. საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლისათვის იბრძოლებს 210-მდე ჩოგბურთელი. ზემოჩამოთვლილი გუნდების წარმომადგენლების გარდა პირად პირველობას შეუერთდებიან თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის უძლიერესი ჩოგბურთელები: ლ. პრეობრაჟენსკაია, კ. ფილიპოვა, ს. მირზა, ს. ფრიდლიანდი და სხვები. პირად პირველობაში მონაწილეთათვის შეჯიბრების პირობები საკმაოდ მკაცრია. პირველი დამარცხებისთანავე სპორტსმენი კარგავს პირველობისათვის ბრძოლის უფლებას. ამ შეჯიბრების მასშტაბისათვის დამახასიათებელია შემდეგი ციფრები: მონაწილეებს დასჭირდებათ სათამაშოდ 7 ათასამდე ბურთი. ყოველდღიურად თბილისის კორტებზე გათამაშდება 125-მდე შეხვედრა, მას მომსახურებას გაუწევს 100-მდე ადგილობრივი და 50-მდე ჩამოსული მსაჯი.

იმ მიზნით, რომ თავიდან იქნას აცილებული თამაშის მავნე, პასიური სტილი, მთავარ მსაჯს და მის მოადგილეებს უფლება ეძლევათ გააფრთხილონ ჩოგბურთელი, გადაიტანონ მისი შეხვედრა ცენტრალური მოედნებიდან მეორეხარისხოვან მოედნებზე, ან მოხსნან სპორტსმენი გათამაშებიდან. ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტმა ჩემპიონატის მონაწილეთათვის დააწესა სპეციალური ჯილდოები ტექნიკური და აქტიური თამაშისათვის.

„ბურევესტნიკის“ სტადიონზე

საქართველოს პროფკავშირელმა სპორტსმენებმა საბჭოთა პროფკავშირების 50 წლისთავს მიუძღვნეს სპორტული დღესასწაული, რომელიც 27 აგვისტოს გაიმართა თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე. პროფკავშირელ სპორტსმენებთან ერთად მასში მონაწილეობდნენ სპორტულ საზოგადოებათა „დინამოსა“ და „კოლმეურნეს“ წარმომადგენლები, მაყურებლები, რომლებიც აქ ცხარე სპორტულ ასპარეზობათა სანახავად მოვიდნენ. სპორტული დღესასწაულის პროგრამა მართლაც ბევრ საინტერესოს ჰპირდებოდა მათ. აქ უნდა ჩატარებულიყო ფიზკულტურელთა აღლუმი, რესპუბლიკური ვარსკვლავისებური ესტაფეტის ფინიში, ამხანაგური შეხვედრა თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდსა და პროფკავშირების ნაკრებს შორის, ამხანაგური შეხვედრები თავისუფალ და ქართულ ჭიდაობაში პროფკავშირების ნაკრებს, „დინამოსა“ და „კოლმეურნის“ ნაკრებ გუნდებს შორის.

• • •

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის გ. ანთაძის სასტვენის ხმაზე მინდორზე გამოვიდნენ თბილისის „დინამოს“ ოსტატები და პროფკავშირთა ნაკრები გუნდი, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ღირსების დაცვა მოუხდება ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სპარტაკიადაზე. თამაში სწრაფ ტემპში დაიწყო და თავიდანვე ცხადი გახდა, რომ პროფკავშირელი ფეხბურთელები ფარხმალს არ დაჰყრიდნენ „მრისხანე“ მოწინააღმდეგის წინაშე. მე-9 წუთზე პროფკავშირელთა თავდასხმის ხუთეულმა სწრაფი კომბინაცია გაითამაშა და ცენტრში გადაადგილებულმა ნარიაშვილმა მძლავრი დარტყმით გახსნა ანგარიში. ერთხანს თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, შემდეგ კი დინამოელებმა თანდათანობით გააძლიერეს დაწოლა და მე-15 წუთზე, მესხის დარტყმის შემდეგ, ანგარიში 1:1 გახდა.

მიუხედავად ნაკრების ფეხბურთელთა დიდი მონდომებისა, ანგარიში მათ ფარზე არ შეცვლილა, დინამოელებმა კი მე-40 წუთზე კიდევ ერთხელ გაადიდეს იგი — ზაზროშვილმა შესანიშნავად დაამთავრა სწრაფად გათამაშებული კომბინაცია და შეუჩერებლივ გაგზავნა ბურთი კარში.

მეორე ნახევარში ანგარიში არ შეცვლილა და შეხვედრაც თბილისის „დინამოს“ გამარჯვებით დამთავრდა — 2:1.

• • •

თავისუფალ ჭიდაობაში პირველმა წყვილმა, მჩატე წონის მოჭიდავეებმა მჭედლიშვილმა და მუზაშვილმა, საინტერესო ორთაბრძოლა წარმოუდგინა მაყურებელს. მეტოქის შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, მჭედლიშვილს ინიციატივა ხელიდან არ გაუშვია და ქულებით გამარჯვებაც მას ერგო. ასევე გაიმარჯვა კარიჭაშვილზე სპორტის ოსტატმა ჩლიქაძემ. ყველაზე ხანმოკლე აღმოჩნდა მამაცაშვილისა და ზუკაკიშვილის შეხვედრა — 1 წუთში გაიმარჯვა ზუკაკიშვილმა.

ქართულ ჭიდაობაში ერთმანეთს შეხვდნენ „კოლმეურნის“ სპორტსმენები. მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს ბზიკავამ, აბუაშვილმა და მჭედლიშვილმა, რომლებმაც აქტიურად ჩაატარეს ბრძოლები და სუფთა გამარჯვებები მოიპოვეს.

• • •

ეს იყო და ეს. ამის გარდა, თუ სტადიონის ტრანსპარანტითა და დროშებით გაფორმებას არ მივიღებთ მხედველობაში, სხვა არაფერი მოწმობდა, რომ პროფკავშირელი სპორტსმენები თავიანთ დღესასწაულს ზეიმობდნენ.

ჩატარებული ღონისძიების დაბალი ხარისხი იძულებულს გვხდის საყვედურით მივმართოთ მის ორგანიზატორებს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ სტადიონზე მოსული მაყურებელი ვერ დაკმაყოფილდა ნახულით. არ ჩატარებულა ფიზკულტურელთა აღლუმი, რესპუბლიკის ვარსკვლავისებური ესტაფეტის ფინიში, ხოლო ქართულ ჭიდაობაში პროფკავშირელ სპორტსმენებს სულ არ მიუღიათ მონაწილეობა.

მაყურებლებმა მხოლოდ სტადიონის შესასვლელთან იხილეს აღლუმისათვის გამზადებული სპორტსმენები. საინტერესოა, რა „ბედი“ ეწიათ შემდგომ მათ, რომ სტადიონის ბილიკებამდე ვერ მოაღწიეს?

შ. ჯულელი

ევროპის გუნდური პირველობა

მეოთხე ტურში საბჭოთა მოჭადრაკეები შეხვდნენ ჩეხოსლოვაკელებს. ამით დაიწყო შეჯიბრების მეორე წრე. სმისლოვმა მწვავე ბრძოლის შემდეგ წააგო ფილიპთან, ბრონშტეინმა მოუგო ზიტას, კერესმა — პახმანს. მეოთხე გამარჯვება მოიპოვა კორჩნოიმ, რომელიც პიტჰარტს ეთამაშებოდა. ტალმა წააგო კოზმასთან. ორი პარტია ყაიმით დამთავრდა, დანარჩენი პარტიები გადაიდო.

მეხუთე ტურში სმისლოვმა პაკი მოუგო უნციკერს. გერმანელი გროსმაისტერის ყოველგვარი ცდები — შექმნა კონტრთამაში, უშედეგო აღმოჩნდა და სმისლოვმა გაიმარჯვა. გუნდს გამარჯვება მოუტანეს აგრეთვე ტალმა, კორჩნოიმ, არონინმა, ბრონშტეინმა და სპასკიმ. სამი შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ანგარიში გახდა 7,5:1,5 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ. ერთი პარტია გადაიდო.

ამგვარად, უკანასკნელი, მეექვსე ტურის წინ საბჭოთა კავშირის გუნდს 36,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს. მას ფაქტიურად უზრუნველყოფილი აქვს პირველი ადგილი, რადგან იუგოსლაველებს, რომლებიც მეორე ადგილზე მიდიან, მხოლოდ 27 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვთ. ბოლო ტურში ერთმანეთს ხვდებიან ეს გუნდები.

ევროპის ახალი ჩემპიონი

მოსკოვში, ტუშინოს აეროდრომზე, გაიმართა ევროპის IV ჩემპიონატი ავიასამოდელო სპორტში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ბულგარეთის, უნგრეთის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირის, ფინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის წარმომადგენლებმა.

ყოველი გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდა ოთხი ავიამოდელისტი. ჩათვლაში შედიოდა სამი საუკეთესო შედეგი. გუნდი, რომელიც დააგროვებდა ქულათა მეტ რაოდენობას, ჩაითვლებოდა გამარჯვებულად და ჯილდოვდებოდა ევროპის ჩემპიონის გარდამავალი თასით, რომელიც 1954 წელს დააწესა იუგოსლავიის საავიაციო კავშირმა.

ჩემპიონატის გახსნის ალამი საზეიმო ვითარებაში აღმართა გასული წლის ევროპის ჩემპიონმა ვ. პეტუხოვმა. დაიწყო მოდელისტთა შეჯიბრება. ყველაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა რუმინელმა სპორტსმენმა ა. მოლდოვეანუმ. მისი მოდელი ხუთჯერვე ჩინებულად აიჭრა ჰაერში და ამდენჯერვე წარმატებით დაეშვა მიწაზე. მოლდოვეანუმ 900 მაქსიმალური შესაძლებლიდან 900 ქულა დააგროვა და ევროპის ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

მეორე ადგილზე გავიდა ლენინგრადელი სტუდენტი ვ. აბრამოვი, რომელსაც დაგროვილი ჰქონდა 880 ქულა. მესამე ადგილი დაისაკუთრა ჩეხოსლოვაკელმა ი. ჩერნიმ.

გუნდურ ჩათვლაში საუკეთესო შედეგები აჩვენეს ფინეთის ავიამოდელისტებმა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის სპორტსმენები.

სპორტულ საზოგადოებებში

◆

„კოლმეურნე“

„კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში ცხოველ ინტერესს იწვევს სპორტის მოყვარულთა შორის.

კახეთის ზონაში, რომელიც წითელწყაროში ჩატარდა, მონაწილეობდნენ: ახმეტის, თელავის, სიღნაღის, წითელწყაროს, ყვარლის, კაჭრეთის, საგარეჯოსა და ლაგოდეხის რაიონების ნაკრები გუნდები.

დაძაბული ბრძოლის შემდეგ გუნდური პირველი ადგილი დაიკავა ახმეტის რაიონმა. ძლიერ მეტოქეს მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა წითელწყაროს რაიონის გუნდი, რომელმაც კარგად მომზადებული მოჭიდავეები გამოიყვანა შეჯიბრებაზე. მესამე ადგილი დაიკავა სიღნაღის რაიონის გუნდმა.

წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულები გამოვიდნენ: ვ. ბეგიაშვილი (სიღნაღი), ბ. მაისურაძე, ლ. ბულკაშვილი, რ. გაურგაშვილი (ახმეტიდან), ვ. გაროზაშვილი, ს. ჩიტაშვილი, ტ. ნარიმანიძე და ი. კაპაროზაშვილი (წითელწყარო). გამარჯვებული გუნდები და მონაწილენი, რომლებმაც პირველი ადგილები დაიკავეს, მონაწილეობას მიიღებენ ფინალურ შეჯიბრებებში.

ქ. ნინიაშვილი
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

იუბილეს მიეძღვნა

საბჭოთა პროფკავშირების 50 წლის იუბილეს მიეძღვნა მრავალი ელვისებური ტურნირი, რომლებშიც 70-მდე მოჭადრაკე მონაწილეობდა. პირველი ადგილები დაიკავეს გ. გამრეკელმა („ბურევესტნიკი“), გ. კასპარიანმა და გ. მაჭავარიანმა (რესპუბლიკის საჭადრაკო კლუბი), რ. სივუამ (ვოროშილოვის სახ. კლუბი).

ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში საერთაშორისო ოსტატმა ჰ. კასპარიანმა წაიკითხა ლექცია თემაზე „შუა თამაში“, მანვე პლეხანოვის სახელობის კლუბში ჩაატარა ერთდროული სეანსი 13 დაფაზე. ოსტატმა მოიგო 12 პარტია და წააგო ერთი.

ს. გუგუნავა

ჩემპიონმა შეინარჩუნა წოდება

ზანგი მოკრივე ფლოიდ პატერსონის ბრწყინვალე კარიერა 17 წლის ასაკში დაიწყო. ამ „ბიჭმა“, როგორც მას ამერიკულ პრესაში უწოდებენ, თავისი ფოლადისებური მუშტით გაიკაფა გზა ამერიკის შეერთებული შტატების მოყვარულთა ნაკრებისაკენ და ოლიმპიური ჩემპიონის წოდება მოიპოვა მეორე საშუალო წონაში. მას შემდეგ პატერსონმა ერთადერთი დამარცხება იწვნია მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონ ჯ. მაქსიმისაგან.

1955 წლისათვის პატერსონმა მძიმე წონაში გადაინაცვლა და მსოფლიო ჩემპიონის წოდებისათვის ბრძოლაში შეხვდა ამ ტიტულის მფლობელს ამერიკელ ზანგს არჩი მურს და დაამარცხა იგი.

მიმდინარე წლის 29 ივლისს ნიუ-იორკში „პოლო-გრაუნდის“ ბეიზბოლის სტადიონზე შედგა მატჩი მსოფლიო ჩემპიონის წოდებაზე მძიმე წონაში პროფესიონალ მოკრივეთა შორის. 22 წლის ფლოიდ პატერსონი იცავდა მსოფლიოს უძლიერესის სახელს რინგის ახალი „ვარსკვლავის“ ტომი ჯეკსონის წინააღმდეგ.

არბიტრმა მე-10 რაუნდზე შეწყვიტა ბრძოლა პატერსონის აშკარა უპირატესობის გამო.

22 აგვისტოს სიეტლში, (ვაშინგტონის შტატი) გაიმართა მორიგი მატჩი მსოფლიო ჩემპიონობაზე. ფლოიდ პატერსონის წინააღმდეგ გამოვიდა მელბურნის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი მძიმე წონაში პიტერ რადემაჰერი.

ეს იყო რადემაჰერის პირველი გამოსვლა პროფესიონალურ რინგზე. მას, უდავოდ ნიჭიერ მოკრივეს, არ გააჩნდა არც საკმაო გამოცდილება და არც ძალა მსოფლიო ჩემპიონთან ბრძოლისათვის. მანამდე რადემაჰერმა არაერთხელ განაცხადა ოფიციალურად, რომ ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულს ბევრი არაფერი მოაქვს მისთვის და რომ მსოფლიო ჩემპიონობისათვის მას არ ესაჭიროება ზედმეტი საფეხურები. მან პირდაპირ მოითხოვა მატჩი პატერსონთან.

ოლიმპიური ჩემპიონი აშკარად სუსტი აღმოჩნდა პროფესიონალური რინგისათვის. პირველ ორ რაუნდში იგი ასე თუ ისე უწევდა წინააღმდეგობას პატერსონს, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონმა მესამე რაუნდიდან ისე შეუტია მოწინააღმდეგეს, რომ 4 რაუნდის განმავლობაში 7-ჯერ ჰყავდა იგი ნოკდაუნში.

მეექვსე რაუნდში მიღებული მძიმე ნოკდაუნის შემდეგ პიტერ რადემაჰერი უკვე აღარ იყო მებრძოლი. მან, მართალია, მიიღო საბრძოლო დგომი, მაგრამ მთვრალივით ბარბაცებდა და ფეხები ეკეცებოდა. არბიტრმა შეწყვიტა ბრძოლა და გამარჯვება ტექნიკური ნოკაუტით მიანიჭა მსოფლიო ჩემპიონს.

ფლოიდ პატერსონი კვლავ პირველია მსოფლიოს უძლიერეს მოკრივეთა შორის მძიმე წონაში.

* * *

სურათზე: რადემაჰერი უკანასკნელ ნოკდაუნში.

ილია ჭავჭავაძე ფიზიკური აღზრდის შესახებ

1907 წლის 30 აგვისტოს თვითმპყრობელობის აგენტებმა მოკლეს ქართველი ხალხის ერთგული შვილი ილია ჭავჭავაძე.

ჩვენი ხალხი აღნიშნავს ქართული ლიტერატურის ამ დიდი კლასიკოსის, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურის ტრაგიკული დაღუპვის 50 წლისთავს.

მრავალმხრივი იყო ილიას მოღვაწეობა. ის იყო დიდი პუბლიცისტი, კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი, სოციოლოგი... ამ მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ერთ-ერთ ძირითად სფეროს წარმოადგენს მისი პედაგოგიური იდეებიც.

სწავლა-განათლებამ, ილიას აზრით, ადამიანს უნდა მისცეს ჰარმონიული განვითარება. ადამიანის თეორიული ცოდნა უნდა ვლინდებოდეს მის პირად შრომასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში, მის ყოფა-ცხოვრებაში. ილია ჭავჭავაძე ენერგიულად იცავს წიგნისა და ცხოვრების სინამდვილის მტკიცე კავშირის იდეას: „არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნიდამ გამოხედვა. უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკმაოდ გრძელი არ არის“. — ამბობს ილიას ერთ-ერთი გმირი — არჩილი.

ილია აღზრდის პირველ და ძირითად ამოცანად თვლის ადამიანის მომზადებას ცხოვრებისათვის. იმ მიზნით, რომ ბავშვები ცხოვრებისათვის მოემზადონ და ამ ცხოვრების სრულფასოვანი მონაწილენი გახდნენ, აუცილებელია, რომ ისინი გონებრივად განვითარებული, მორალურად სრულყოფილი და ფიზიკურად ჯანსაღი ადამიანები იყვნენ, „რომ ადამიანი უნდა იწურთვნებოდეს სკოლაში ყოველ მხრით: გონებით, ზნეხასიათით, სულით და ხორცით და არც ერთი ამათგანი არ უნდა შეეწიროს მეორეს“.

ილია მიუთითებს მის დროინდელ ბავშვთა და მოზარდთა ცალმხრივ აღზრდაზე: „დღეს ყველაფერი შეწირული აქვს მარტო გონების გახსნას... დავიწყებულია, რომ კაცს ტანიცა და აგებულებაცა აქვს, რომელიც წვრთნითა და ვარჯიშობით უნდა გაღონიერდეს, გაჯანიანდეს, გამაგრდეს, რადგანაც ჯანმრთელობა უდიდესი მადლია“ და იქვე დასძენს: „ეხლანდელი ყოფა, მართალია, ბევრ ცოდნას აწვდის მოსწავლესა, მაგრამ ცალმხრივ მოქმედებს, ხასიათის წვრთნას თითქმის თავს ანებებს და ტანაგებულებას ადამიანისას არამც თუ შველის, არამედ ჰღუპავს“. ამგვარად, ილიას „თანაბარი წარმატება სულისა და ხორცისა“ მიაჩნია აღზრდისა და სწავლა-განათლების ისეთ ამოცანად, რომელიც სკოლას ყოველთვის მხედველობაში უნდა ჰქონდეს. მის თანამედროვე სკოლას ეს მხარე არ აინტერესებდა. ილიას თქმით, ამ სკოლაში მოსწავლე „სულითა და ხორცით იქანცება, არაქათი უწყდება და ბოლოს გამრჯელ, მხნე, სულითა და ხორცით ღონიერი ადამიანის მაგიერ უძლური, უღონო და ჯან-გალეული კაცი გამოდის სკოლიდამ“.

ილიას ფიზიკური აღზრდა მიაჩნდა სწავლა-აღზრდის სისტემის ერთ-ერთ განუყოფელ ნაწილად და ამ მხრივ განსაკუთრებით მიუთითებდა ვიტორინო დე ფელტრესა და რაბლეს პედაგოგიურ შეხედულებებზე. ილია აღნიშნავს, რომ ვიტორინოს „სკოლაში სწავლება და გარეთ ჰაერზე ვარჯიშობა ერთი ერთმანეთს რიგ-რიგად მისდევდა. ყოველ დღეს, დანიშნულს საათს, რაც გინდა ტაროსი ყოფილიყო, ყმაწვილები ვარჯიშობდნენ რბოლასა, ჭიდაობასა, ცურვასა, ბურთაობასა და შვილდოსნობაში, ზოგჯერ ნადირობისა და თევზაობის ნებასაც აძლევდა. ზაფხულობით ოსტატების თანხლებით ყმაწვილებს სამგზავროდ ისტუმრებდა კარგა შორს, ზოგჯერ ალპის მთებშიაც“. ასევე — „რაბლეს სისტემაში ტანის და აგებულების ვარჯიშობას დიდი ადგილი უჭირავს, — წერს ილია — ბურთაობა, კენჭაობა, ცხენზე ჯდომა, ცურვა, ჭიდაობა — ყოველივე ეს სწორედ დანახულია რაბლესაგან“. ამრიგად, ილიას ფიზიკური აღზრდის საუკეთესო საშუალებად მიაჩნია ჭიდაობა, ბურთაობა, ცურვა, რბენა, მშვილდოსნობა, ცხენოსნობა, ტურიზმი და ალპინიზმი. ილიას ნატვრა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში განხორციელდა. ფიზიკური აღზრდის საბჭოთა სისტემაში ფართო ადგილი უჭირავს ფიზიკური აღზრდის ზემოთ ჩამოთვლილ სახეობებს.

ილია ჭავჭავაძე ფართო ადგილს უთმობდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხებს გაზეთ „ივერიაში“, რომელიც მისი რედაქტორობით გამოდიოდა. „ივერია“ დიდი ყურადღებით ეკიდებოდა პ. ფ. ლესგაფტის ფიზიკური აღზრდის სისტემას და თავის ფურცლებზე ხშირად უთმობდა ადგილს მის ლექციებს, ათავსებდა სტატიებს ფიზიკური აღზრდის დარგში ლესგაფტის მოღვაწეობის შესახებ. ასეთი წერილები „ივერიაში“ გამოქვეყნდა 1893 წელს („ბავშვის ფიზიკური განვითარება და აღზრდა“, „ფიზიკური აღზრდა ყმაწვილებისა“ და სხვ.).

ილია არ კმაყოფილდება ფიზიკური აღზრდის საჭიროების უბრალო მოთხოვნით. ის პრაქტიკულადაც შესდგომია საქართველოს სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდის დანერგვას. კერძოდ საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგებლობის ქვეშ მყოფი ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის მართვის წესდებაში, რომელიც 1897 წელს იქნა დამტკიცებული. და რომელსაც ხელს აწერენ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე და მდივანი ღ. კარბელაშვილი, ერთ მუხლად შეტანილია: სხვა მოვალეობასთან ერთად, ინსპექტორი „ეცადოს, რომ სასწავლებელში იქნეს შემოღებული რიგზე მოწყობილი სათამაშოები და გიმნასტიკური ვარჯიშობა“. იმავე წელს აღნიშნული სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოს განუხილავს საკითხი „გიმნასტიკის შემოღების შესახებ“, რის გამოც ინსპექტორს სხდომისათვის მოუხსენებია, რომ ტანვარჯიში შემოიღებოდა ოქტომბრის თვიდან და მის მასწავლებლად მოწვეული იქნებოდა გ. ი. კერესელიძე.

ილია გატაცებული ყოფილა ქართული ეროვნული სანახაობა-გართობებით და მათ შორის ყეენობით, რომლის პროგრამაში, სხვა სანახაობათა შორის შედიოდა ჭიდაობა, ფარიკაობა და კრივი. 1894 წელს კრივის სანახავად „ივერიის“ მუშაკებთან ერთად გორშიც კი ჩასულა. ამის შესახებ ლ. ედიაშვილი ზ. ყიფშიძეს წერდა: „ყველიერში საშინელი კრივებია, მთელი გორი ფეხზე იდგა. აქ იყვნენ საცქერლად მთელი რედაქციის წევრები, ილია, მეველე, გიგო, საშა და სხვ“.

კუნთმაგარი, ჯანსაღი, სიძნელეთა ამტანი, ღონიერი, მებრძოლი და გმირული სულისკვეთებით გაჟღენთილი თაობა — აი რა მიაჩნდა ილია ჭავჭავაძეს ფიზიკური აღზრდის მიზნად. ამის განხორციელება მეფის ხელისუფლების პერიოდში შეუძლებელი იყო. მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში შეიქნა შესაძლებელი მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მეცნიერულ საფუძვლებზე დამყარება, მხოლოდ ჩვენს დროშია მისთვის შექმნილი ყოველგვარი პირობა.

ვ. აფრიდონიძე

◆

მფრინავი ნავები

თანამედროვე სპორტი ხტომების მრავალ ნაირსახეობას იცნობს. ხტომებს ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია მძლეოსნობაში. არსებობს სპორტის ცალკე სახეობა — წყალში ხტომა, ხტებიან აგრეთვე პარაშუტით — ესეც სპორტის სახეობაა. საკმაო პოპულარობით სარგებლობს თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა და ა. შ.

მაგრამ აი, ფლორიდის შტატის (აშშ) მცხოვრებლებმა ამ საკმაოდ მრავალფეროვან სიას ხტომის კიდევ ერთი ახალი სახეობა მიუმატეს. იგი საკმაოდ არაჩვეულებრივ პირობებში სრულდება და მას ფლორიდაში უწოდებენ „რბოლას წინააღმდეგობებით“.

ხტომა სწარმოებს წყალზე ნავებით. იგი ასე იწყება: მოტორიანი ნავები თავბრუდამხვევი (რასაკვირველია, წყლისათვის) სისწრაფით მიექანებიან წინ. უეცრად მათ წყლის ზედაპირზე გადაეღობება ხელოვნური დაბრკოლება — საკმაოდ ფართო პლატფორმა. ნავი დიდი სისწრაფით (დაახლოებით 40 კმ. საათში) ადის. ამ პლატფორმაზე და შემდეგ აგრძელებს ფრენას წყლის ზედაპირზე. შეჯიბრების პირობების თანახმად, ნავი უნდა გადახტეს ორ, ერთმანეთთან ახლომდებარე ხეს შუა და შემდეგ განაგრძოს გზა ფინიშისაკენ.

ასეთი სახის შეჯიბრება, რა თქმა უნდა, სახიფათოა, მაგრამ ამავე დროს კარგი საყურებელი. წარმატება მთლიანად მენავეზეა დამოკიდებული, რადგან ნავის მოსალოდნელი გადაბრუნების თავიდან აცილება, შესაძლებელია მხოლოდ სპორტსმენის ზუსტი ბალანსირებით.

ფეხბურთის ირგვლივ

მსოფლიო ჩემპიონატის გადამწყვეტი თამაშები ჩატარდება სტოკჰოლმის „რასუნდას“ სტადიონზე. საერთოდ შვეციაში სტადიონები მცირე მოცულობისაა — 25 ათასამდე კაცს იტევენ. „რასუნდას“ სტადიონი მათ შორის უდიდესია— იგი 38 ათას კაცს იტევს. ითვალისწინებს რა იმ გარემოებას, რომ მსოფლიო ჩემპიონატი შვეციაში არნახულ ინტერესს გამოიწვევს, საორგანიზაციო კომიტეტმა გადაწყვიტა „რასუნდას“ სტადიონზე მაყურებელთა ადგილების რიცხვი გაზარდოს 52.000-მდე. შვეციაში მოელიან დაახლოებით 16.000 ტურისტს. 400 სპეციალური კორესპონდენტი 1.200 გაზეთს მოემსახურება.

* * *

ვენიდან უნგრეთში დაბრუნდა ეროვნული ნაკრების ყოფილი მეკარე გროშიჩი, რომელსაც დისკვალიფიკაციის ვადის გასვლის შემდეგ კვლავ თავის კლუბ „ტატაბანიაში“ უნდა ეთამაშა. ამიტომ „ტატაბანიის“ ხელმძღვანელობამ თხოვნით მიმართა უნგრეთის ფეხბურთელთა კავშირს ნება დაერთო გროშიჩისათვის ეთამაშა კლუბის შემადგენლობაში (1957 წ. ჩემპიონატში). თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა.

* * *

ბუდაპეშტის „ჰონვედმა“, რომლის შემადგენლობაში უნგრეთის პირველი ნაკრების რამდენიმე მოთამაშე შედის (ფარაგო, ბოჟიკი, კოტასი, მახოში და ტიხი) მეტად წარუმატებლად ჩაატარა თავისი გამოსვლები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მან, მართალია, მოუგო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეორე ნაკრებს (6:2) და „აქტივისტს“ (4:2), მაგრამ დამარცხდა ბერლინისა და კარლ-მარქს-შტადტის ნაკრებთან (2:3) და ლაიპციგის „ლოკომოტივთან“ (0:2).

იტალიური ოპერები ამერიკულად

ამას წინათ გაზეთმა „უნიტამ“ გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ თუ როგორ „იდგმება“ იტალიური ოპერები ამერიკის შეერთებულ შტატებში. ნიუ-იორკის ერთ-ერთ თეატრში დგამენ „აიდას“. მაგრამ როგორ! „მოძველებული“ ეტლების ნაცვლად სცენაზე დაგრიალებენ ტანკები, ხოლო დამარცხებული ამონასროს ნაცვლად გაოცებული მაყურებლის წინაშე, წარსდგება... ჰიტლერი. ასეთივე საოცარი მეტამორფოზა განიცადა აგრეთვე „ტრავიატამაც“. ოპერაში მოქმედება პარიზიდან გადატანილია ლოს-ანჟელოსში, ალფრედი გამოყვანილია ცნობილ ფეხბურთელად, ხოლო ვიოლეტა სცენაზე გამოდის მხოლოდ საცურაო კოსტიუმში...

გაზეთი მკაცრად ილაშქრებს იტალიური კლასიკური ოპერისადმი ასეთი დამოკიდებულების გამო.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ. მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამოშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03615